სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის
და სერვისების კომპანია

27.07.2020 № 154

ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს
დირექტორს ბატონ ილია თამარაშვილს

ბატონო ილია,

თქვენი 2020 წლის 18 ივნისის № 3/2199 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექციური მიღწევების გამოცდის ქსელში 2017-2019 წლებში ჩართული იყო საშემოდგომო ხორბლის ავსტრიული ჯიშებიც, რომელთაგან ორმა - „ამანდუს-მა" და „ბალიტუს-მა" გამოავლინა მაღალი მაჩვენებლები სამეურნეო სარგებლიანობაზე, როგორც სტანდარტულ ჯიშთან, ისე სხვა ჯიშებთან შედარებით.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნული ჯიშები დაშვებულ იქნენ გასავრცელებლად ხორბლის მწარმოებელ ზონებში (გარდა VII ზონისა-ჯავახეთი).

იმის გამო, რომ ჯიშთა გამოცდის ზონალური ნაკვეთები შეუწყნარებლად მცირეა (გარდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტისა, რომლის კლიმატურ პირობებშიც შეუძლებელია საშემოდგომო ხორბლის ჯიშების ობიექტური შეფასება), ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ აღნიშნული ჯიშების საწარმოო გამოცდა ჩაგვეტარებინა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში - შირაქის ველზე, ფერმერთან, რასაც არ კრძალავს ჯიშთა გამოცდის მეთოდიკა ("სავალდებულო სერტიფიცირებას დაქვემდებარებული კულტურათა ჯიშების სამეურნეო სარგებლიანობაზე გამოცდის მეთოდიკა" გვ.7).

საკონკურსო და საწარმოო გამოცდის შედეგები თან ერთვის.

პატივისცემით,

შოთა ჯოგლიძე

გენერალური დირექტორი

ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო
AGRICULTURAL AND RURAL DEVELOPMENT AGENCY
შეად. № 5077
ფურცს. 1419.
27 07 2020

შპს "სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის
და სერვისების კომპანია"
საქართველო, თბილისი 0159, დიღმის მასივი, ახმეტელის 10 ა
ტელ/ფაქსი: +995 32 230 57 21
ელ.ფოსტა: info@alsc.ge

"AGRICULTURAL LOGISTICS & SERVICES COMPANY" LTD
10 a Akhmeteli st., Dihomi array, 0159, Tbilisi, Georgia
Tel/Fax: +995 32 230 57 21
E-mail: info@alsc.ge

საშემოდგომო ხორბლის საკონკურსო და საწარმოო ჯიშთა გამოცდის შედეგად გამოვლენილი დაწინაურებული ჯიშები

(2017-2019წწ)

N	ჯიშის დასახელება	მცენარის სიმაღლე (სმ)	პროდუქტიული ბარტყობა	თავთავში მარცვლის რაოდენობა	თავთავში მარცვლის მასა (გ)	1000 მარცვლის მასა(გ)	ნატურა (გ/ლ)	მინისებურობა %	IDK %	წებოვანა %	ცილის შემცველობა %	საკონკურსო გამოცდის მოსავლიანობა	საწარმოო გამოცდის მოსავლიანობა (ტ/ჰა)
1	აფინა St	78.4	2.3	38.4	1.2	37.4	784	77	-	-	-	3.9	-
2	ამანდუსი	75.3	2.2	42.1	1.6	43.5	743	54	77.0	23.9	10.7	4.2	4.9
3	ბალიტუსი	71.9	2.0	51.6	1.7	40.2	734	52	75.6	19.7	9.9	4.1	4.2

ცხრილში მოცემულ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი:

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექციური მიღწევების

გამოცდის სამსახურის უფროსი გიორგი ღუღუნიშვილი

სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექციური მიღწევების

გამოცდის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვანო ზედგინიძე